ცალკე ნომერი 5 კაპ.

# ცის ნამი

პარასკევი 1907 წ. 14 დეკემბერი

გაზეთ „ცის ნამი“-ს გამოწერა შეიძლება ყოველ დღე. განცხადების ფასი ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკნელზე—10 კაპ. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადების მიღება „ცის ნამი“-ს რედაქციის კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება. ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა სამარკო მარკები. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, კვირა-უქმეობით—დილის 11-დან 12 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Николаевская площадь, № 1.

№ 7. ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 7.

1907 წ. 6 დეკემბრიდან ქ. თფილისში გამოდის ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი,

## „ც ი ს ნ ა მ ი“

ხელის მოწერა მიიღება გაზეთის გამოსვლის დღიდანვე.

გაზეთი წლიურათ თფილისში ღირს 7 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით 4 მან., ერთი თვით 75 კაპ.

**ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.**

დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები სუფთათ უნდა იყოს დაწერილი და უსათუოთ ერთ გვერდზე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ერთი თვით ინახება მხოლოდ ვრცელი წერილები. წერილობითი ცნობებისათვის საჭიროა სამარკო მარკები.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკნელზე—10 კაპეიკი.

რედაქციასთან პირადი მოლაპარაკება შეიძლება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.

რედაქცია დროებით მოთავსებულია: ნიკოლოზის მოედანზე, ვართანოვის სახლში, № 1.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „Цисъ нами“.

---

გაზეთ „ცის ნამის“ რედაქციის კანტორა დაბეჯითებით აცხადებს, როგორც აგენტების ისე ხელის მომწერთა საყურადღებოდ, რომ ფული და ყოველივე ცნობები უნდა იქნეს გამოგზავნილი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, редакція „Цисъ нами“, Николаевская площадь, домъ Вартанова № 1, **Захарію Степановичу Бичашвили.**

---

## „ეპალის“ აგენტების სა ურადღებოთ.

„ეპალის“ რედაქცია დ ბეჯითებით სთხოვს იმ აგენტებს, რომელთაც ანგარიში არ აქვთ გასწორებული, გამოგზავნონ ხვედრი ფული უსათუოთ ერთი კვირის განმავლობაში.

ვინც ამ თხოვნას არ შეასრულებს ამ მნულ ვადაში,—რედაქცია იძულებული გახდება იმათი სახელი და გვარები გამოაცხადოს გაზეთებში და ანგარიშის გასწორება სხვა საშუალებით მოთხოვოს.

---

**დილით ქართული წარმოდგენა № 10 დილით**

კვირას, 16 დეკემბერს, არტისტიულ საზოგადოებისას თეატრში ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება.

## „ქ ო ხ შ ი“

პიესა 5 მოქმედებათ ივ. გომართელისა.

მონაწილეობას ღებულობს მთელი დასი. დასაწყისი სწორეთ დილის $12^1/_4$ საათზე. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

მორიგე წევრი **ივ. გომართელი.** რეჟისორი **ვალ. გუნია.**

---

**კვირას, 16 დეკემბერს**

ზუბალაშვილის სახალხო სახლში, ბავშვების იაფ-ფასიან და უზრუნველყოფილ აღზრდა-განათლების კავკასიის საზრუნველოს სასარგებლოთ

გამართული იქნება:

გრანდიოზული **სეირნობა**,

## ლატარია-ალეგრით

სამობაო დიდი ფერხული

„ყინულის პაპა“ ანგელოზები, მატროსები, პეიზანები, „პეიზანკები“, „კლოუნები“, ალ-ქაჯები, კუდიანები და სხვადასხვა მკითხავის ფეშქაშები, ხორო მომღერალთა:

ბალალაიკების,

მუსიკის,

მანდალინებისა,

„კატოკი“.

გრამოფონი.

კონფეტები, ყვავილები, გაიყიდება ხილი.

**ფოსტა და ბუფეტი.**

---

**ბოზარჯიანცის, საჯაიანცის და გრიგორიანცის გაფიცულ მუშებს თფილისში დაუარსებიათ ფეხსაცმელის**

## სამკერვალო ამხანაგობა

და მაღაზია გაუხსნიათ. ამით აუწყებენ მხმარებლებს, რომ ყოველნაირი შეკვეთა და დამზადებული საქონელი სუფთა და ხელ მისაწდომ ფასებში იქნება. ადრესი: ნეკრასოვის და ნიკოლაევის ქუჩის კუთხეში, № 11.

გამგე **თედო ლოთვაძე.**

---

**ე ქ ი მ ი**

ვ. ს. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—$11^1/_2$. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

---

**მერქმეთა პროფესიონალურ საზოგადოების კანტორა მოთავსებული იქნება: აბას-აბადსკის პერეულოკი, სახლი ტოტიანისა № 10.**

---

თბილისი, 14 დეკემბერ.

დღევანდელ ვითარების დამახასიათებელია რეაქციის თავ-აშვებული და თავ-დაუჭერელი თარეში, რაც დაავადმყოფებულ ცხოვრებას შეუჩერებლივ უკან მიაქანებს და ისედაც გამწვავებულ საერთო მდგომარეობას უსაზღვროდ და დაუსრულებლივ ამწვავებს.

გუშინ კანონიერი, ლეგალური—დღეს უკანონოდ, არა-ლეგალურად არის აღიარებული; გუშინ ნებადართული—დღეს სასტიკად არის აკრძალული. ყველანაირი საზოგადოებრივი ორგანიზაცია მხოლოდ ეხლით „კრამოლნიკურ“ ორგანიზაციათ მიაჩნიათ. განმანათლებელი საზოგადოებანი, სამარხი კასები კოოპერაციები და სხვა მხოლოდ „კრამოლის“ გარეგან გამოხატულებად, მის ფორმად ეჩვენებათ. აი სწორედ ამაზე არის ნათქვამი, შიშს დიდი თვალები აქვსო.

რეაქცია შეუბრალებლად სპობს და სუსხავს განახლებულ ცხოვრების ყველა იმ ნორჩ ყვავილებს, რომლებიც მცირე ხნობით გამობრწყინებულ თავისუფლების ნიადაგზე აღმოაცენა განმათავისუფლებელმა მოძრაობამ. სასტიკად სდევნიან მუშათა ეკონომიურ ორგანიზაციებს—პროფ სიონალურ კავშირებს მიუხედავად 4 მარტის კანონისა...

მაგრამ რეაქცია ამით არა კმაყოფილდება. მისი წყალობით დიდ კრიზისს განიცდიან ის საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც კი რომლებიც განმათავისუფლებელ მოძრაობის დაწყებამდე არსებობდენ და ყვაოდნენ, რამდენადაც მათ ძველი რეჟიმის პირობები ხელს უწყობდა.

დღევანდელ აუტანელ პირობებში, თუ როგორ უნუგეშო მდგომარეობაში არიან სახალხო ბიბლიოტეკები, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებები, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებები და სხვა ასეთი კულტურული ორგანიზაციები კარგად იციან ყველა იმ მომუშავეთ, რომლებსაც ასეთ ორგანიზაციებში უხდებათ მუშაობა. გავიხსენოთ თუნდა ჩვენი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება რომელიც—როგორც მისი ანგარიშიდგანა სჩანს,—უსახსრობისა გამო სულსა ღაფავს. ყოველ ფეხის გადადგმაზე ასეთ ორგანიზაციებში მომუშავეთ ათასგვარი დაბრკოლებები გზას ულობავენ და ხელ-ფეხს უბორკავენ, რითაც შესამჩნევად ფერხდება მათი მუშაობა. იმდენად მოუხერხებელი და შეუძლებელი ხდება საზოგადოებრივი მუშაობა, რომ ,ახლამდელ დროსთან შედარებით, ცნობილ პლევეს დროც კი სანატრელ ხანად შეიძლება ჩავთვალოთ.

— შეუძლებელია წინ-და-წინ იმის განსაზღვრა, თუ რამდენ ხანს გასტანს ახლანდელი აუტანელი რეჟიმი, რომელიც საზოგადოების ყველანაირ თვითმოქმედებას ბორკავს და სულს უხუთავს. მაგრამ ჩვენ ამას არ უნდა უცადოთ. ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა, ახლავე მოვნახოთ ასეთ მდგომარეობიდან გასავალი გზა.

ასეთი საზოგადოებრივ ორგანიზაციების კრიზისის მიზეზები ორგვარია: პირველი,—გარეგანი, ობიექტიური სოციალ-პოლიტიკური მიზეზები; მეორე,—შინაგანი, თვით ამ ორგანიზაციებისაგან და მათ შემადგენელ წევრებისაგან დამოკიდებული მიზეზები. ჩვენ აქ პირველ მიზეზების განხილვაში არ შევალთ, რადგანაც ისინი იმდენად აშკარა და თვალსაჩინოა ყველასათვის, რომ იმათზე ლაპარაკი მეტია. ვიტყვი მხოლოდ შინაგან მიზეზებზე.

ყველაფრიდანა სჩანს, რომ საზოგადოება დიდი ხნის ბრძოლით მოიქანცა; ის ჯერაც არ გამორკვეულა იმ უბედურებისაგან და თავ-ზარდაცემისაგან, რომელიც მოულოდნელად მას თავზე დაატყდა. იმედგაცრუებული და გულ-გატეხილი, ის ჯერაც ვერ შეგუებია დღევანდელ შემავიწროებელ ცხოვრების პირობებს. მას ჯერ კიდევ ვერ გამოუმუშავებია და ვერ შეუდგენია თავის ინტერესების დასაცავი და მათი შესაფერი ორგანიზაციები.

ნახევრად დანგრეულ, ან სულ მთლად განადგურებულ, კულტურულ მუშაობს დაუყოვნებლივ ხელი უნდა მოჰკიდოს ინტელიგენტურმა საზოგადოებამ, რომელსაც ფართე სამოქმედო ასპარეზი მოუპოვა განმათავისუფლებელმა მოძრაობამ. ინტელიგენციამ უნდა გააღრმავ-გააფართოვოს გამოღვიძებულ მასსის თვითცნობიერება; მან ყველანაირად ხელი უნდა შეუწყოს მის თვით-მოქმედებას და მთელი თავის ძალ-ღონით ეცადოს მის კულტურულ განვითარების გზაზე დაყენებას.

მართალია ამ დიად საქმეში მას ხელს შეუშლიან და ბევრნაირ დაბრკოლებებს დაუყენებენ წინ გარეგანი მიზეზები, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ აწეწილ-დაწეწილი საზოგადოებრივი ცხოვრებაც მძლავრად მოითხოვს ახლად მოწყობა—მოწეს-რიგებას. გარდა ამისა გარეგანი მიზეზები იმდენად არიან ხელისშემშლელნი და დამაბრკოლებელნი, რამდენადაც ჯერ არ მოწეს-რიგებულა თვითონ ცხოვრება.

ამისათვის საჭიროა ჩვენმა საზოგადოებამაც თავიდგან მოიშოროს გულ-გრილობა, მოიკრიბოს მთელი თავის ძალ-ღონე და ენერგიულად შეუდგეს ისეთ საზოგადოებრივ ორგანიზაციების დაარსება-გაძლიერებას, რომლებსაც დაუყოვნებლივ მოითხოვს თვითონ ცხოვრება.

---

### სამთა კავშირი.

როგორც ბევრ სხვა პარლამენტალურ ქვეყნებში, სადაც ორ-პალატიანი სისტემა არის შემოღებული, ისე დღევანდელ „კონსტიტუციონურ რუსეთშიაც“, როგორც ვიცით არსებობს ორი საკანონმდებლო დაწესებულება: სახელმწიფო სათათბირო და სახელმწიფო საბჭო. ნამდვილ პარლამენტარულ ქვეყნებში ქვედა-პალატის და ზედა-პალატის შორის მუდამ ბრძოლა არსებობს, რომელიც ხან მწვავდება და ხან შედარებით უფრო მშვიდობიან ხასიათს იღებს; ამ ბრძოლას იწვევს მათი სხვა და სხვა გვარი შედგენილობა, მათი ერთი-მეორის წინააღმდეგი ინტერესები.

ზედა-პალატაში წამოყენებულები არიან არისტოკრატები, დიდი მემამულეები და მსხვილი ბურჟუაზია, რომლებიც ყველინაირათ იცავენ თავის ინტერესებს. ქვედა-პალატაში კი, სხვა და სხვა გვარ საარჩევნო სისტემის მიხედვით, ცოტათ თუ ბევრად, წამოყენებულია ხალხი, დემოკრატია. დემოკრატიია და არისტოკრატიის ინტერესთა წინააღმდეგობა ხშირად იწვევს ამ ორ პალატათა შორის მოურიგებლობას, შეუთანხმებლობას და ბრძოლას.

ყოველი კანონ-პროექტი სამინისტროს შეაქვს ჯერ ქვედა-პალატაში; ის პირველათ აქ ირჩევა და თუ მიღებულ იქმნა, შემდეგ გადადის ზედა-პალატაში; როდესაც ამ კანონ-პროექტს ზედა პალატაც დაამტკიცებს, მხოლოდ მაშინ იქცევა კანონ-პროექტი ნამდვილ კანონათ და კიდევაც შევა ძალაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. სანამ ქვედა-პალატისაგან მიღებული კანონ-პროექტი ზედა-პალატისაგანაც არ იქმნა დამტკიცებული და დადასტურებული, კანონ-პროექტი კანონათ ვერ იქცევა, ვერ შევა ძალაში და უკანვე დაუბრუნდება ქვედა-პალატას.

ამნაირად, ზედა-პალატა მდიდარ არისტოკრატიის ხელში იარაღია, რომლის საშუალებითაც ისინი ლაგამსა სდებენ ქვედა-პალატას და ყველანაირათ აფერხებენ მის დემოკრატიულ მისწრაფებებს. ამიტომაც არის, რომ მთელი ქვეყნის დემოკრატიული პარტიები თავის პროგრამებით გადაჭრით მოითხოვენ ზედა-პალატების გაუქმებას.

ასეა პარლამენტალურ ქვეყნებში, მაგრამ სულ სხვა ამბებია ჩვენ, „გაკონსტიტუციონებულ“, რუსეთში.

პირველ და მეორე სათათბიროს დროს, რომლებიც 11 დეკემბრის საარჩევნო სისტემის წყალობით, ცოტათ თუ ბევრათ, ხალხის სულისკვეთების გამომხატველნი იყვნენ და, როდესაც მოძრაობის ტალღებიც შედარებით მაღლა იყო აწე-

ული, სახელმწიფო საბჭო, როგორც სათათბიროს, ისე ხალხის საერთო ზედ-მიწოლით, იძულებული იყო დათმობის გზაზე დამდგარიყო. 1906 წ. 9 ივნისს, საბჭო აცხადებდა, რომ „ჩვენი მოქმედების მიზნათ ჩვენ ვისახავთ კონსტიტუციონურ-მონარქიის პრინციპების განხორციელებას, მათ დაცვას და განვითარებას 8—17 ოქტომბერში 1905 წელშივე, პირველ სათათბიროს დათხოვნის შემდეგ საბჭოს ცენტრის ერთი ჯგუფი თავის სიეზდზე აცხადებდა, რომ „მეორე სათათბირო უნდა ემსახურებოდეს კონსტიტუციონურ-მონარქიის განმტკიცებას; ესვეე ჯგუფი გადაჭრით წინაალმდეგი იყო საარჩევნო კანონის სისტემის შეცვლისა, იცავდა სასამართლოს თვითმოქმედებას დი დამოუკიდებლობას, სხვადასხვა კლასების და ეროვნების უფლებრივ თანასწორობას და სხვა...

ამნაირათ, როგორცა ვხედავთ, სახელმწიფო საბჭოს ხელ-მძღვანელი ცენტრი მაშინ იძულებული იყო დაეთმო ხალხის წარმომადგენლობისათვის.

დღეს კი სულ წინააღმდეგსა ვხედავთ. 3 ივნისის კანონით შემდგარი მესამე სათათბირო, სადაც გაბატონებულები არიან ოქტომბრისტები და მემარჯვენეები, ბევრათ არაფრით განირჩევა სახელმწიფო საბჭოსაგან. როგორც სათათბიროში, ისე საბჭოში, უმთავრესად წამოყენებული და გაბატონებულები არიან ერთი და იგივე უმაღლესი წრის მემამულე,—არისტოკრატების ინტერესების დამცველნი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ საბჭოში უფრო დამსახურებული, გამოცდილი და ბიუროკრატიულ წრეებში გამოჭახრაკებული დიდი ბოძოლები არიან.

ამიტომაც, საკვირველიც არ არის, რომ ამ ორი, უკაცრაული პასუხია, „პალატის“ ხელ მძღვანელმა ცენტრებმა ჩქარა იცნეს და ზრდილობიანად ხელი გაუწოდეს ერთმანეთს. შეთანხმება ამ ორივე „პალატის“ ხელმძღვანელ ცენტრებ შორის, ახლა უკვე ფაქტათ არის აღიარებული.

სათათბიროს შეთანხმება, როგორც საბჭოსთან, ისე მთავრობასთან, მომაკვდინებელი იქნება მისი თავისებურობისა და თვითმოქმედობისა. ეს შეთანხმება ოპოზიციონურ, მცირე ელემენტებსაც შესამჩნევათ შებორკავს, სულს შეუხუთავს და გასაქანს არ მისცემს.

ამნაირათ, უნდა ველოდეთ, რომ მთავრობის სურვილისამებრ, ახლო მომავალში, ნელეთით გარემოცული და ხელი-ხელ ჩაკიდული, ეს სამთა კავშირი გამართავს ხმა-შეწყობილ „ტრიოს“, სადაც ტონის მიმცემი სამინისტრო იქნება: მაგრამ როდემდის გასტანს ეს ხმა-შეტკბობილი „ტრიო“, ამას ახლო მომავალი დაგვანახვებს...

## სათათბიროს გარშემო.

ოქტომბრისტების სათათბიროს ფრაქციამ, 6 დეკემბერს, ერთხელ კიდევ დაუმტკიცა მთავრობას თავისი ერთგულება და ხელმწიფე იმპერატორს „ცარსკოე სელო“-ში მიართვა შემდეგი შინაარსის უქვეშევრდომილესი ადრესი:

მათ იმპერატორებით უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატორს. მთელის მართლ-მადიდებელ რუსეთის სათაყვანებელმა, წმინდა ნიკოლოოზმან დაგიცვას და დაგიფაროს შენ, დიდებულო ხელმწიფევ, მრავალ ჟამიერ. იმეფე მტრების შესამუსრავად, სიმართლის და ჭეშმარიტების დასამყარებლად ყველა შენს ქვეშევრდომებში დიდიდამ პატარამდე, ღვთისგან მობარებული სამეფო შენი იქნეს ძლიერი და მაგარი, არა მარტო გარეშე ძლიერებით, არამედ სულითაც, აღზრდილი ქრისტიანულის სარწმუნოებით, წმინდა წარსულის გადმონაცემით და მომავლის იმედით, რუსების მეფეების ხელმძღვანელობის ქვეშ, რომელთაც შემოიკრიბეს რუსეთის მიწები“.

6 დეკემბერს, მარიინსკის თეატრში დანიშნული იყო სადღესასწაულო წარმოდგენა: ამ წარმოდგენაზე მიიწვიეს ოქტომბრისტები; მემარცხენე ოქტომბრისტები, კაპუსტინი და პეტროვო-სოლოვიოვო კი არ იქნენ მიწვეულნი.

— უკიდურეს მემარჯვენეთა ერთმა ჯგუფმა შეიტანა წინადადება ზომიერ მემმრჯვენეთა ბიუროში, შექმნან საზოგადო კომისია ტერორის წინააღმდეგ საბრძოლველ კანონ-პროექტის შესამუშავებლათ.

— ზომიერ მემარჯვენეებს კერძო თათბირი ქონდათ უმაღლეს სასწავლებლების ავტონომიის შესახებ და ის აზრი გამოსთქვეს, რომ შეიძლება მათ მიეცეთ ავტონომია, თუ იგი შეზღუდული იქნება მხოლოდ აკადემიური ხასიათების კითხვებით.

— მუშათა კითხვის შესახებ კანონ-პროექტის შეტანას სახელმწიფო სათათბიროში ჯერ არა ჩქარობენ, რადგანაც ფაქტიური მასალა საკმარისად არა აქვთ დამზადებული.

— ოქტომბრისტთა ბანაკში განხეთქილებამ თავი იჩინა. პენზის დეპუტატმა, მემარცხენე ოქტომბრისტმა თავ. ვოლკონსკიმ სთქვა, რომ ოქტომბრისტთა უმრავლესობის წყალობით სათათბიროს მნიშვნელობა ფართე მასსებში ეცემა, და თუ მე არ გავდივარ, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემს წასვლის შემდეგ ოქტომბრისტები უფრო მარჯვნივ გადიხრებიანო.

— ოქტომბრისტების ლიდერის გუჩკოვის პრესტიჟიც თანდათან ეცემა. ზომიერი დეპუტატი დიკოვი უკმაყოფილებას აცხადებს, რომ გუჩკოვმა ვერ გაამართლა მაზედ დამყარებული იმედები, რომელსაც უცქეროდნენ, როგორც სერიოზულ საზოგადო მოღვაწეს და მტკიცე ხასიათის ადამიანს; იგივე დიკოვი სწუხს, რომ მესამე სათათბიროში სერიოზული მომუშავე არავინ არისო. მილიუკოვი დასძენს: სათათბიროს „ხემძღვანელ პარტიის“ სურვილით, სათათბირო ჯერ კიდევ ბევრ დროს დაკარგავს უმნიშვნელო საგნებზე ლაყბობაში და სერიოზულ კანონ-პროექტების განხილვას ჯერ კიდევ კარგა ხანი უნდა უცადოთ.

— დუმის თავმჯდომარე ხომიაკოვი მიღებულ იქმნა ცარსკოე სელოში, აუდიენციაზე; იგი მეტათ მოწყალეთ იქნა მიღებული.

## ახალი ამბავი

**გაცარცვა სოფ. კურდღელაურის** (თელავის მაზრა) შარა გზაზე, 5 დეკემბერს, ხუთი შეიარაღებული კაცი დახვედრია თელავში მიმავალ ვასილ ბეგიჯანოვს. წაურთმევიათ ვერცხლის ქამარი, საათი ყაბალახი და 110 მ. ფულად. შეუპყრიათ კურდღელაურის მცხოვრები. დათო გეორგელაშვილი და რევაზ ალადაშვილი, რომელთაც აღმოუჩენიათ გაცარცულის საათი.

✦ **გაქცევის განზრახვა**. ქ. გორის სატუსაღოდან—12 დეკემბერს, განთიადისას, გაქცევა დაუპირებია ტუსაღ ვანო გოზაშვილს, რომელსაც კატორღა ჰქონია გადაწყვეტილი. დარაჯს შეუტყვია და ციხის ეზოში შეუპყრიათ დაჭრილი გოზაშვილი.

✦ **სომხების დეპუტატები**. კავკასიის ნამესტნიკმა ნება დართო თფილისში ჩამოსრლ სომ ხთა დეპუტატ ბს. პირადათ გამოცხადნენ და და მოახსენონ რამდენათ დაზარალებულია ამიერ-კავკასიაში მცხოვრები სომხობა. დეპუტატები, 15 კაცამდე, დღეს შუადღისას წარუდგებიან ნამესტნიკს და დაწვრილებით გააცნობ ნ დაზარალებულთა მდგომარეობას. ამასთანავე, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, აღძრავენ შუამდგომლობას, რომ მათ მიეც თ მთავრობისაგან 3600000 მან. დახმარება.

✦ **სამეურნეო საზოგადოების საბჭოს კრება.** 11 დეკ მბ რს, კავკასიის სასოფლო სამეურნ ო საზოგადოების სადგომში, სხდომა ქონდა საზოგადოების საბჭოს. სხვათა შორის საბჭოს უნდა ჩაებარებინა ... საბაღოსნო სკოლის ანგარიშები ბ. ს. ხუნდაძისაგან, რომელმაც გამგეობის თანამდებობას თავი დაანება. საბჭომ სამი კაცი ამოირჩია და მათ დაავალა შემოწმება დავთრებისა და ანგარიშის ჩაბარება.

✦ **მეპურეების განცხადება.** ტფ. მეპურეებმა ამ ორი დღის წინად ტფილისის გუბერნატორს განცხადება წარუდგინეს, სადაც ისინ აცხადებენ, რომ ფქვილი ძვირდება და პურის ეხლანდელ ფასებში გაყიდვით მეტათ ვზარალობთ და საჭიროა პურზე ნიხრი მოემატოსო. ამასთანავე მეპურეები აცხადებენ, თუ მათი ცდა არ იქნა შეწყნარებული და ნიხრს არ მოემატა, იძულებულნი იქნებიან 15 დეკ. სრულიად შესწყვიტონ პურის ცხობა და გაყიდვა. გუბერნატორმა ეს განცხადება ტფ. ქალ. გამგეობას გაუგზავნა განსახილველათ.

✦ **მათხოვრების დაჭერა.** ამ ბოლო ხანებში, ტფილისის ქუჩებზე მრავალი მათხოვარი გაჩნდა. სრულიად განადგურებულ და დამშეულ სოფლებიდან ხალხი ქალაქისაკენ მოეშურება. ბევრნი სრულიად უმწეოთ მყოფი და შრომის უნარს მოკლებულნი გლახაკობენ. ამის გამო ტფლ. პოლიცმეისტერმა შემდეგი შინაარსის ბძანება გაუგზავნა პოლიციელებს: „რადგანაც ქუჩებზე მოსიარულე ხალხი სწუხდება გლახაკების მუდმივი ღიჭინით, ამიტომ ყოველივე ღონისძიებანი იხმარეთ მათ მოსასპობლადაო. პოლიციელები ასობით აპატიმრებენ მათხოვრებს და უმრავლესობას თავიანთ სოფლებში გზავნიან.

✦ **ქალაქის საბჭო.** ტფილისის

## ფელეტონი

### ძირითადი მიზეზები დღევანდელის ვითარებისა.

I

სამ წელიწადზე მეტია მას შემდეგ, რაც მთელი რუსეთის თვალ-უწვდენელ სივრცეზე დახავსებულ საზოგადოებრივ ცხოვრებას განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მძლავრათ დაჰკრა, ძირიან-ფესვიანეთ შეარყია რუსეთის სახელმწიფოს უზარმაზარი შენობა და როგორც ქალაქათ, ისე სოფლათ, ძველებური მყუდროება დაარღვია.

წინათ, რუსეთ-იაპონიის ომის დაწყებამდე, მთელი რუსეთის ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრება, თვითმპყრობელობის კანონების ფარგლებში და ძველ წესების კვალადობაზე, საერთო კალაპოტში გარეგნულათ წყნარათ და შეუშფოთებლათ მიმდინარეობდა.

ქალაქად ქარხანა-ფაბრიკების და სხვა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებების დაქირავებული მუშები, თუმცა დრო-გამოშვებით, ხან გაფიცვებით და ხან მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციებით ერთ ხნობით შეაშფოთებდენ და შეარყევენდენ ხოლმე ჩვეულებრივ ცხოვრების მსვლელობას,—მაგრამ უმეტეს შემთხვევაში—ისინი ქედ-წახრილნი ეწეოდენ თავის გაჭირვებულ და შეხუთულ ცხოვრების მძიმე უღელს.

სოფლათაც, სიღარიბისაგან გაძვალტყავებულ და დაბეჩავებულ გლეხობის დიდი უმრავლესობა, საკუთარი სახნავ-სათესი ადგილების სიმცირის, ან უქონლობის გამო, იძულებული იყო სალალოთ ეხნა დიდი მემამულეების მიწები და უმეტეს შემთხვევაში ეძლია მათთვის უზომო ღალა, რომ დანარჩენი ნაოფლარით ზედმიწევნით მაინც დაეკმაყოფილებინა თავისი ოჯახის უსაჭიროესი მოთხოვნილებანი და გაესტუმრებინა სხვადასხვა გადასახადები.

ქალაქის დაქირავებულ მუშების და გლეხობის ასეთი საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრება ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობისაგან კანონიერათ და წესიერათ იყო ცნობილი; ის, თავის თავნება მოხელეების შემწეობით, შეუზღუდავათ ბრძანებლობდა, ხალხის დაუკითხავათ მის ცხოვრებას თავის სურვილისამებრ განაგებდა და თავისითვე შეთხზულ და გამოცემულ კანონებს სასტიკათ იცავდა.

რუსეთ-იაპონიის ომის დაწყების შემდეგ კი, მთელ რუსეთში დაიწყო განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომლის სათავეთ 1905 წლის 9 იანვარი ითვლება. ამ დღეს ათასობით ამოჟლიტეს უიარაღო მუშები და მათი სისხლით მორწყეს რუსეთის დედა-ქალაქის, პეტერბურგის, ქუჩები. ამ საზარელმა შემთხვევამ ხელი შეუწყო მთელი რუსეთის მუშა-ხალხის გამოფხიზლებას და ძლიერი მუჯლუგუნი წაჰკრა მათ მოძრაობას; ამის შემდეგ ისინი აშკარათ ამხედრდენ თვითმპყრობელ ბიუროკრატიის წინააღმდეგ. დაიწყო რუსეთის დიდებული განმათავისუფლებელ მოძრაობა.

რევოლიუცია საზოგადოთ ნიშნავს ძველს, უვარგის კანონების და წესების ცვლილებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ახალ, უკეთეს კანონების და წესების შემოღებით; მაგრამ, რადგანაც ძველ კანონ-წესებზეა აშენებული და დაყრდნობილი მათი შესაფერი სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობა, რომელსაც სათავეში უდგას ძველი მთავრობა, ამისათვის რევოლიუციას უფრო ეძახიან სახელმწსფოებრივ მართვა-გამგეობის თვითონ ხალხის მიერ საერთო ძალით შეცვლას, ძველის, უვარგისათ ცნობილ მთავრობის ნაცვლათ, უკეთესად მმართველ და ცხოვრების შესაფერ მთავრობის დამყარებას. რევოლიუციის წინააღმდეგ მთავრობის და მის დასაყრდნობ ჯგუფების ბრძოლას კი, რომელსაც მიზნათ აქვს ძველი რეჟიმის, წეს-წყობილების, დაცვა და განმტკიცება, სხვანაირათ რეაქციას უწოდებენ.

ამნაირათ, ამ სამი წლის განმავლობაში რუსეთის ხალხის თავზე ორჯელ გადაიარა რეაქციის ქარცეცხლმა და ახლა მესამეთ დაატყდა მას თავზე უფრო ხანგრძლივი და სუსხიანი რეაქცია.

ვინც დაკვირვებით თვალ-ყურს ადევნებდა და ღრმათ ჩაიცქირებოდა რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობის მიმდინარეობაში, იმისათვის ცხადია, რომ რამდენათაც წინ მიიწევს, უფრო ფართოვდება და ღრმავდება ის, იმდენათ სასტიკ და ულმობელ ზომებს ხმარობს მთავრობა, იმდენათ მწვავდება რეაქცია; ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, მოსპობის მაგივრათ, უფრო ხელს უწყობს მოძრაობის გაღვივებას და გაძლიერებას: ბრძოლის სასწორი ხან რეაქციონურ მთავრობისაკენ იხრებადა ხან ხალხისაკენ. რეაქცია—რევოლიუციის მრისხანე ტალღების ერთმანეთთან შეჯახ-შემოჯახება აღვიძებს და ათვითცნობიერებს რუსეთის ხალხის ფართე მასსას, რომელსაც ეს ტალღები ძალაუნებურათ თანდათან ითრევენ თავიანთ ზვირთებში და თვითმპყრობელობის ვიწროთ ამართულ, სულთამხუთავ ზღუდეებს თავგანწირვით ეხეთქებიან.

თავის-თავად იბადება კითხვა: რა მიზეზები ამოძრავებენ და წინ მიაქანებენ განმათავისუფლებელ მოძრაობას; საიდან წარმოსდგა, რამ გამოიწვია ის?

ჩვენი მიზანია ამ წერილებით, შეძლებისა დაგვარდ, მოკლედ გავცეთ პასუხი აღძრულ კითხვას და მკითხველს გარკვევით დავანახოთ ის მთავარი მიზეზები, რომლებმაც წარმოშობეს რუსეთში განმათავისუფლებელი მოძრაობა.

II.

აღნიშნულ კითხვის სისწორით გადასაჭრელად, პირველ ყოვლისა, საჭიროა გავითვალისწინოთ წარსული ცხოვრების ის პირობები, რომლებმაც შეამუშავეს, თავისებურად მოაწყვეს და ააშენეს თვითმპყრობელი მთავრობა; საჭიროა აგრეთვე ვიცოდეთ ასეთ მთავრობის გარეგანი მოწყობილობა, ანუ ფორმა, მისი ბუნება და ზნეობრივ-უფლებრივი ავლა-დიდება. ამისათვის ჩვენ წარსულ ცხოვრების მოწყობილობაში უნდა ჩავიხედოთ.

როგორც ვიცით, უწინ ჩვენშიაც და რუსეთშიც, ბატონ-ყმობა არსებობდა. ამ დროს, რომელსაც სხვანაირად ფეოდალურ ხანას ეძახიან, ყველა სახნავ-სათესი მიწები და სხვა მამულები ბატონების, ანუ ფეოდალების საკუთრებას შეადგენდა გლეხს საკუთარი მიწა არ გააჩნდა და ის იძულებული იყო ფეოდალის ადგილ-მამული იმ პირობებით ეხმარა, რომელსაც ეს უკანასკნელი მოსთხოვდა. ამნაირად გლეხის ყოფა-ცხოვრება ყოველ მხრივ დამოკიდებული იყო მებატონეზე. გლეხის ქონებრივი, ანუ სხვანაირად ეკონომიური დამოკიდებულება ფეოდალისაგან მას უფლებრივადაც ამონებდა და ფეოდალის ყურ-მოჭრილ მონადა ხდიდა. ფეოდალის და გლეხის ქონებრივი ურთი-ერთობა თავის შესაფერ უფლებრივ ურთი-ერთობას იწვევდა. ფეოდალი, რომელსაც მიწა ეკუთვნოდა, ბატონობდა; გლეხი კი, რომლის ცხოვრებაც უმიწოდ შეუძლებელი იყო, ამ მიწის გულისათვის ფეოდალს ძალა-უნებურათ ემონებოდა, ეყმობოდა. ფეოდალი იმ პირობით ახმარებინებდა გლეხს მიწას, თუ ეს უკანასკნელი ყველა მის მოთხოვნილებებს და

ქალაქის საბჭომ ქალაქის სააუქციონო დარბაზის გამგედ, 10 დეკ მბრის სხდომაზედ, ამოირჩია ამიერ კავკასიის რკინის გზაზე რევიზორად ნამყოფი მიხეილ ქ. ყიფიანი.

✦ **თავდასხმა**. 12 დეკემბერს, საღამოს 8 სათზე ტფილისის მოქალაქ ს, ყაზბეგის ქუჩაზე მცხოვრებ ზურაბ ნასყიდაშვილს დუქანში შეუვარდა სამი შეიარაღებული მცარცველი და რევოლვერების მიღერებით ( ოსთხოვეს ფული. მედუქნის შვილს, გრ. ნასყიდაშვილს, მოკვლისა შეშინებია, ამოუღია დახლიდან. 25 მან. და ავაზაკებისათვის გდაუცია. მცარცველები, როდესაც ქუჩაში გამოსულან, ორჯერ ჰაერში რევოლვერები დაუცლიათ და მიმალულან.

✦ **კაცის კვლა**. 12 დეკემბერს, არხანგელისა და ბეგლიაროვის ქუჩების კუთხეში, უცნობმა ბოროტგანმზრახველმა რევოლვერი დაახალა ერთს უცნობ კაცს და იქვე მოჰკლა. მოკლულს აღმოაჩნდა კალათი სპიჭკებით სავსე. როგორც ეტყობა, მოკლული უნდა იყოს სპიჭკების გამყიდველი. მიზეზი მკვლელობისა, ან ვინაობა მოკლულისა არ იციან.

✦ **პოლიციელის მიერ დაჭრა**. 12 დეკემბერს, დილის 9 საათზე, პოლიციის მე-10 ნაწილში აბასთუმნის ქუჩაზე მედროგე სიმონ მაკეევი მედროგეებს ურიგებდა სამორიგეო ნომრებს ერთს მედროგეთაგანს, დავით მაჩინაურს შეხვედრია დიდი ნომერი, მოსვლია გული ნომრების გამნაწილებელზე და ატეხილა მათ შორის ჩხუბი. მაჩინაურს სხვა მედროგეები წაშველებიან და დაუწყიათ ცემა მაკეევისათვისათვის. საქმეში პოლიციელი ჩაერია რომელმაც ხმლით დასჭრა მაჩანური. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ **ქურდის შეპყრობა** — შერემეტევის ქუჩაზე მიკიჩა ბაღდასაროვის მაღაზია გაუტეხიათ ქურდებს, ღამით, 12 დეკემაერს და იქიდან ტყავეულობის საქონელი გაუტანიათ, სულ 560 მან. ღირებული. პოლიციელებმა უკვე მიაგნეს კვალს და ქურდი, არ. დუბლინი დააპატიმრეს, ჩამოართვეს მოპარული საქონელი და პატრონს გადასცეს.

✦ **ვაგონის დაჯახება**. ოლგის ქუჩაზე, 12 დეკემბერს, გაჩქარებით მომავალი ელექტრონის ვაგონი დაეტაკა ფოსტა-ტელეგრაფის დროგს და სრულიად დაელეწა. დაშავებით არავინ დაშავებულა.

✦ **დაპატიმრება** 11 დეკემბერს, პოლიციამ შეიპყრო მელიქ აივაზიანცი. მას ბრალდება ჩხუბის დროს თავისი ნათესავის ნიკოლოზ მამიაშვილის რევოლვერით დაჭრა.

11 დეკემბერს პოლიციამ შეიპყრო ასატურა არუთინოვი, რომელსაც ბრალდება,! ლაზარევის ქუჩაზე, თფილისის მაზრის მცოვრებ მნაცაკან მოსესოვის დაჭრა. შეპყრობისა და გაჩხრეკის დროს არუთინოვს რევოლვერი არ აღმოაჩნდა

✦ **თავდასხმა** 10 დეკემბერს, საღამოს 7 სათზე, სამი შეიარაღებული მცარცველი დაეცა იროთიანა ლიში-ოღლის ფურნეს. სიკვდის მუქარით გაიტაცეს კასიდან 40 მან. და მიიმალნენ.

✦ **სამღვდელოების შორის** სიღნაღის ბლაღოჩინ მღ. სვ. ბეგიევს ამ რამოდენიმე ხნის წინათ, „დანოსი“ გამოუგზავნია თავის საბლაღოჩინო სოფელ მაშნაარის მღვდელი გიორგი ღვინიაშვილზე. ბერიევი უჩიოდა მ. ღვინიაშვილს, რომ იგი თავის მრევლში არასფერს აკეთებს და, როგორც გაპონი პეტერბურგის მუშათა შორის, იგი სიღნაღის სოფლებში პოლიტიკურ ნიადაგზე პროპაგანდას ეწევა ხალხის ასაღელვებლათ და მთავრობის წინაალმდეგ დასარაზმავად. ქ. კ. სინ. კანტორამ გაამართლა მღ. ღვინიაშვილი. ამ უკანასკნელს თავი შეურაცხყოფილად და ცილ დაწამებულად უცვნია და საჩივარი აღუძრავს ბლაღოჩინის ბერიევის პასუხის გებაში მისაცემად.

✦ მეშვიდე უბნის საპოლიციო ნაწილში, 10 დეკემბერს, პოლიცია დაეცა ვანო ქელბაქიანის ოთახს, თვითონ ქელბაქიანი შინ არ დაუხვდათ. პოლიციელებმა უცადეს, მაგრამ ქელბაქიანი სახლი არ დაბრუნდა.

✦ **შეცდომის გასწორება** „ცის ნამში“ შეცდომით იყო მოხსენებული, ვითომც დუშეთის მაზრის სოფ. ოძისის მამასახლისი დაეჭრათ. **დაუჭრიათ მედუქნე ნიკო ფარნიშვილი**, თავისს დუქანში, სადაც დაცემის დროს სხვა ხალხის გარდა მამასახლისიც ყოფილა, რომელსაც თავის ბერდანკა მიბარებლი ჰქონებია მედუქნისთვის. გადმოგვცემენ, ვითომც დამცემლებს ბერდანკის წალება უნდოდაო, თუმცა დანამდვილებით კი არ იციან ნამდვილი მიზეზი.

---

# რუსეთის პრესა.

გაზ. „ვესტნიკ ევროპი“ აღელვლებულია „როსიის“ აგიტაციით, რომელსაც ეს ოფიციოზი სისტემატიურათ ეწევა ოპპოზიციის წინააღმდეგ. ოფიციოზის შეხედულებით, ცარცვა-გლეჯის და პოლიტიკურ მკვლელობის გავრცელებაში ბრალი უდევთ კადეტებს, რომლებმაც ბნელ მას ი ინსტიქტები პოლიტიკურ ბრძოლის იარაღათ გადაექცეს; კადეტებმა შეჰქმნეს ჩვენში მხეცი-ადამიანი“.

შემდეგ გაზეთი გულუბრყვილოთ განაგრძობს:

„როდესაც ასეთი სიტყვები გვესმის „ნოვოე ვრემიასა“, ან „მოსკოვსკი ვედომოსტისაგან-“ ეს ჩვეულებრივ მოვლენად მიგვაჩნია, რადგანაც რეაქციის მოციქულებისაგან მეტიც არ არის მოსალოდნელი, მაგრამ განა ასევე თუნდა ილაპარაკოს გაზეთმა, რომელიც მჭიდრო კავშირი აქვს მმართველობასთან“?

მართალს ამბობს გაზეთი, მაგრამ „როსსია“ მაინც თავისებურათ განაგრძობს:

„აქედგან (პეტერბურგიდგან) ძნელი წარმოსადგენია ის აუტანელი ცხოვრების პირობები, რომელიც შექმნა ავაზაკთა ბრბოებ ის ფართო მოქმედებამ. ეს ვაჟბატონები როვოლიუციონერ ბრბოებში გაითქვიფნენ“.

დაქირავებული ჩინოვნიკების კალმისაგან მაშ სხვას რას უნდა გამოველოდეთ, თუ არ ასეთ მარგალიტებს?!

---

ამხ. დანიელ რაზმაძის ხსოვნას.

დუხჭირ ცხოვრების ტალღებმა
უდროოთ გაგკრა ბრჭყალები,
გამოგასალმა სიცოცხლეს
მრავალ გზით განაწამები.

—

მოთინა ტანჯულ მშრომელ ხალხს,
დიდი გლოვისა ზარია,
თვალთ ცხარე ცრემლი ადინათ,
ტანზე ჩაიცვად შავია.

—

ამბობენ, დამწვარ გულითა,
მოგვიკვდა დანიელიო,
სიმართლის მღაღადებელი
უსამართლობის მტერიო.

—

მხოლოთ მტარვალნი ხარობენ
ბილწნი და საძაგელნია,
რომ აღარ ისმის შენი ხმა
იმათი გულის მკვლელია.

—

მარა დადგება, მალე დრო,
მსჯავრს დავსდებთ სასტიკს იმათა,
და, თქვენ, ვით ადამიანსა,
მოგიხსენიებთ ხშირათა!..

**ევგ. დვალი.**

---

## თბილისის წვრილ ვაჭართა 6 დეკემბრის დადგენილების გამო.

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში, როგორც მკითხველი დაინახავს, იბეჭდება თფილისის ტრაქტირების, ღვინის სარდაფების, სირაჯების და სამიკიტნოების პატრონთა დადგენილება.

თუმცა ღიდ-ს რიხით იმუქრებიან ეს ვაჟბატონები, რომ, ვინც ჩვენზე ხმას ამოიღებს, იმ გაზეთს ხელში აღარ ავიღებთო, მაგრამ ჩვენ მაინც სიმართლეს არ ვუღალატებთ და ვეცდებით კრიტიკის ქარცეცხლში გავატაროთ ეს, მართლა სირაჯხანული, დადგენილება.

ჩვენ დიდი ხანია ვიცით, რომ თბილისელი ვაჭრები, როგორც საზოგადოდ ყველა ბურჟუები, ხალხის მოძრაობის დროს, რეაქციონერდებიან და, საკმარისია ცოტათი მაინც წამოიწიოს რეაქციამ, რომ ამ ვაჟბატონებიც ქიანქველასავით ფრთები შეისხან და მთელი თავისი არსებით და ძალ-ღონით გადაელობონ განმათავისუფლებელ მოძრაობას.

არც ის არის დაფარული, რომ ღიპიან სირაჯს სულაც არა სცხელა შენი გაზეთისათვის, ის თავის მუშტრისკენ არის და გაზეთი შენ ქირსაც წაუღია; მით უმეტეს ტრაქტირშჩიკს, რომელსაც გათენებიდან გათენებამდე არღნის ჰყვრიალი უყრუებს ყურებს, და, ერთი მიბძანეთ, თუ ღმერთი გწამთ,—რა დროს გაზეთია?!..

განცხადებებს არ მოგცემთ და არც რაიმე შემწეობას აღმოგიჩენთო—იმუქრებიან მიკიტნები. გმადლობთ, ბატონებო! ჩვენ დიდი ხანია ვიცით, რომ თქვენზე ზედ გამოჭრით იქნება „გოლოს კავკაზა“, ვიდრე „წყარო“, „ისარი“, „ცის ნამი“ და ან სხვა რაიმე პროგრესიული გაზეთები;—როგორც რეაქციონერებს—თქვენც სწორეთ რეაქციონურივე გაზეთი მოგიხდებათ და თქვენი უთავბოლო მუქარა, მაინც და მაინც, არავისათვის არ არის საშიშარი...

მეორე მთავარ მიზეზათ, რომ თქვენ მუშები ვერ დაითანხმეთ და გაფიცვას განაგრძობენ, ასახელებთ „აბლაკატებს“, რომელთაც მომუშავეთა ოფლის ჭამა ხელობათ გაუხდიათ, ახალი ბატონყმური ხანა შემოუღიათ,

---

სურვილებს უსიტყვოდ დააკმაყოფილებდა.

ბატონი თავის მიწებს და ყმებს ერთნაირ თვალთა-ხედვის ისრით უცქეროდა: მისთვის ეს ორთავე მხოლოდ ერთმანეთთან მჭიდროდ შეკავშირებულ საკუთრებას წარმოადგენდა. ყმის პიროვნება და მისი ადამიანური ღირსება სავსებით თახსირდებოდა და მიწასთანა სწორდებოდა; ყმა ბატონისათვის მხოლოდ საცხოვრებელ მანქანას, მუშა საქონელს წარმოადგენდა და სხვას არაფერს.

ფეოდალის და ყმის ასეთი უფლებრივი ურთი-ერთობა თავის თავად გამომდინარეობდა მათ ეკონომიურ ცხოვრების მდგომარეობიდგან და მის პირობებისაგან, რომელებსაც ის შეესაბამებოდა.

ფედალი თავის მამულების საქმეებს და ყმების ყოველ მხრივ ყოფაცხოვრებას მოურავ-მოსამსახურეების შემწეობით, თავის სურვილისამებრ განაგებდა. ის სრულიად დამოუკიდებლად ბრძანებლობდა თავის სამფლობელოში; ყველა ასეთი სამფლობლო წარმოადგენდა საზღვრებით შემოფარგულ, პატარა თვითმპყრობელ სამეფოს, რომლის სათავეშიც თვითმპყრობელი ფეოდალი იდგა. მაზედ იყვნენ დამოკიდებულნი მისი მოურავები, რომლების შემწეობითაც ის ამოძრავებდა და ამოქმედებდა სხვადასხვა მოსამსახურეთა წყებას.

ფეოდალურ ხანაში არ არსებობდნენ თანამედროვე დიდი და უზარმაზარი ქალაქები. მაშინდელს გაცილებით უფრო პატარა, დაბა-ქალაქებში უმთავრესათ წვრილი ხელოსნები ცხოვრობდნენ, რომლებიც საკუთარ სახელოსნოებში, საკუთარივე შრომის უბრალო იარაღებით ქარგლებთან და შეგირდებთან ერთად, აწარმოვებდენ და ამზადებდენ წინდაწინვე შეკვეთილ საქონელს.

თვითეული ხელობის ხელოსნები შეადგენდენ ცალკე ამქარს, რომელიც განაგებდა ყველა ამქრულ საქმეებს. ამქრები კარ-ჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდენ. ამქარს მხოლოდ ოსტატები შეადგენდენ. ამქარში შესვლა ძნელი იყო; ამისათვის საჭირო იყო მსურველს განსაზღვრული ვადით ჯერ შეგირდათ და შემდეგ ქარგლად ემუშავნა და სხვა. ოსტატები სასტიკად იცავდენ თავის ინტერესებს და ამქრულ წესებს, რომლებითაც მათ უპირატესობა ჰქონდათ მინიჭებული. ქარგლებს და შეგირდებს არ შეეძლოთ ოსტატის უნებურათ თავისუფლათ ერთი ადგილიდგან მეორეზე გადასვლა; ისინი ყველანაირათ დამოკიდებულნი და მიჯაჭულნი იყვნენ ოსტატებზე. ოსტატი ბატონი იყო, მისი ქარგლები და შეგირდები კი—ყმები.

ასეთ წარმოების წესს და მაზედ დაყრდნობილ წყობილებას ფეოდალურ, ამქრულ, ანუ ხელოსნურს უწოდებენ.

ამქრულ წარმოების წესი და მისგან გამოწვეული ეკონომიური პირობები ჰბადებდა თავის შესაფერ ეკონომიურ ურთი-ერთობას, რომელზედაც თავის მხრივ დამყარებული იყო ბატონ-ყმური ურთი-ერთობა. სოფლად ბატონის და ყმის, ქალაქად ოსტატის და ქარგლის ურთი-ერთ უფლებრივი დამოკიდებულება და განწყობილება აკინძული იყო ასეთ წარმოების წესზე. ყველა მათი ერთმანეთთან განწყობილება გამომდინარეობდა და განისაზღვრებოდა მათის ეკონომიური მდგომარეობით.

ასეთ წარმოების წესზე დაყრდნობილმა ფეოდალურმა ცხოვრებამ, თავის მხრივ, ნიადაგი მოუმზადა თავისავე შესაფერ თვითმპყრობელ მთავრობის აღორძინებას.

ფეოდალურ ხანაში, როგორც ფეოდალურ ერთეულებში, ისე ამ ერთეულებ შორის, თანდათანობით განვითარდა ვაჭრობა და აღებ-მიცემობა, რამაც გამოიწვია მათი ერთმანეთთან ეკონომიურად დაახლოვება-დაკავშირება და მათ ფეოდალურ კარ-ჩაკეტილობის დარღვევა. ამას შედეგათ მოჰყვა ფეოდალების ერთმანეთთან შეჯახება ძალა-უფლება-უპირატესობისთვის და განუწყვეტელი ომები. თვითეული მათგანი ცდილობდა სხვების დაწიხვლას და დამორჩილებას, რასაც ერთ ფეოდალისაგან მეორის აწიოკება და აოხრება მოსდევდა. ასეთ ომიანობას, როგორცა ვთქვით, სარჩულად ედო ვაჭრობა და აღებ-მიცემობის განვითარება-გაფართოვება.

მეთვრამეტე საუკუნეში რუსეთშიაც აღორძინდა პირველი საფეხურები კაპიტალისტური წარმოებისა, რომელიც აუცილებლად მოითხოვდა ბაზრის გაფართოვებას და გაერთიანებას. ამისთვის კი საჭირო იყო გაერთიანებულივე სახელმწიფო, ძლიერ და შეუზღუდავ ძალა-უფლებით აღჭურვილი თვით-მპყრობელი მეფით სათავეში; ასეთ მთავრობას ხელი უნდა შეეწყო შინაურ ბაზრის გაფართოვება-აყვავებისათვის და უზრუნველ-ეყო კაპიტალიზმის განვითარება, რომ უცხოეთის განვითარებულ კაპიტალს და ვაჭრობა-მრეწველობას მეტოქეობა არ გაეწია და არ დაემარცხებინა ის შინაურ ბაზარზე. ასეთმა საჭიროებამ ყველაზე უფრო გააძლიერა და გააბატონა ერთი თვითმპყრობელ ფეოდალთაგანი, რომელმაც თანდათან დაიმორჩილა ყველა სხვა ფეოდალები და შეადგინა ერთი ძლიერი თვითმპყრობელი სახელმწიფო. ასეთი იყო თვითმპყრობელ მეფის მთავრობა თავის პროტექციონიზმით, ანუ ვაჭარობა-მრეწველობის მფარველი კანონებით, რომლებითაც ის შინაურ ბაზარს ფარგლავდა და იფარავდა უცხოეთის კაპიტალის შემოსავლისგან.

ამნაირად ერთ გაერთიანებულ ძლიერ, თვითმპყრობელ მთავრობის წარმოშობა პირდაპირი შედეგი იყო და გამომდინარეობდა ფეოდალურ ცხოვრების ეკონომიურ პირობებიდან და კაპიტალის ახლად აღორძინება-განვითარებისგან.

რუსეთის თვითმპყრობელობის ბიუროკრატიული მმართველობა და მისი გარეგანი მოწყობილობა, ანუ ფორმა ზედ-მიწევნითა ჰგავს პატარა თვითმპყრობელ ფეოდალის შეუზღუდავ მართვა-გამგეობას. კარგად რომ დავაკვირდეთ, მისი მოწყობილობა, მიუხედავად იმისა, რომ იგი უფრო ფართე და რთულია—მთავრობის მთელი წყება უმაღლეს მოხელიდან დაწყებული უკანასკნელ მოხელემდე და ყველა მათი ერთმანეთთან დამოკიდებულობა, მოგვაგონებს ფეოდალის და მის მოურავ-მოსამსახურეების ურთი-ერთ განწყობილებას. თვითეული მოხელე, როგორც მოურავი, ან მოსამსახურე, მონას, ყმას წარმოადგენს თავის უფროსთან და განუსაზღვრელ ბრძანებელს თავის ხელ-ქვეითებთან და ქვეშევრდომებთან. როგორც ფეოდალი თავის მოურავ-მოსამსახურეებით, ისე თვითმპყრობელი მთავრობა, თავის ბიუროკრატიებით და პოლიციებით ბატონურად, ფეოდალურად განაგ ბენ დამონებულ ქვეშევრდომების ცხოვრებას, რომლებიც მათი საერთო მძიმე ტვირთის ქვეშ უსიტყვოდ გმინავენ.

ამნაირათ, მოკლეთ რომ გავიმეოროთ ყველა ზევით ნათქვამი, თვითმპყრობელი მთავრობა წარმოშობა და გააძლიერა ამქრულ წარმოების წესზე დამყარებულმა ფეოდალურმა ცხოვრებამ, აღებ-მიცემობის ზღამ, კაპიტალისტური წარმოების პირველი საფეხურების განვითარებამ და აქედგან ბაზრის გაფართოების, გაერთიანების და მისი მოწყობილობა და ზნეობრივი ავლადიდება ფეოდალურია. თვითმპყრობელი, უდიდესი ფეოდალია, მთელი რუსეთი მისი სამფლებელოა, რომელსაც ის განუსაზღვრელად განაგებს. ქვეშევრდომები მის სამფლობელოზე მიჯაჭული, ყურ-მოჭრილი ყმებია, რომლებიც ყველა მის ბრძანებას უსიტყვოდ ემორჩილებიან.

(შემდეგი იქნება)

მუშებს ოფლით იკვებებიან და კისერზე დასჯდომიან მათ. ეხლა, ერთი ეს გვიბრძანეთ: ვის ეძახით თქვენ აბლაკატებს? ნუ თუ თქვენ მოსამსახურეთა ბიურო, აბლოკატათ მიგაჩნიათ? ნუ თუ თქვენ კავშირი, რომლის წევრებათაც მოსამსახურენი ითვლებიან, აბლაკატია?! სირცხვილია, რეაქციონერებო—ბურჟუებო, სირცხვილი!!! მერე და ვის უკიჟინებთ მუშის ოფლით გამოკვებას, მათ კისერზე ჯდომას, მათ ბატონყმურათ დამონავებას?!. არა, სწორეთ ამაზე იტყვიან: „ჩემი შენ გიახარ, გული მოგიკალო“.. მესამე მიზეზათ ასახელებთ იმ ვაჭრებს, რომელთაც დააკმაყოფილეს მუშები, შევიდნენ მათ გაჭირვებულ მდგომარეობაში და, ცოტათ თუ ბევრათ, ისინიც ადამიანებათა სცნეს და თქვენ კი, თქვენ ხუთასი რეაქციონერი ამგვარ ხაზეინებს ზიზღსა და გაკიცხვას უთვლით?!.

ეხლა გადავიდეთ პირდაპირ თქვენს დადგენილებაზე. თქვენ არღვევთ და ანიავწყალებთ იმ პირობებს, რა პირობებითაც მუშებმა, ასე თუ ისე, გაიუმჯობესეს თავისი მდგომარეობა და ბრძოლით მოპოებულ უფლებებს თქვენ ერთი კალმის მოსმითა სპობთ. აი ნიმუშებიც:

მუხლი მეორე: მოსამსახურენი მუშაობენ კვირა-უქმე დღეებშიაც. ერთი გვიბრძანეთ, რათა? რატომ არ გინდათ, რომ ერთი დღე მაინც დაუთმოთ დასასვენებლათ, გონების სავარჯიშოთ, ამხანაგურ აზრების ერთმანეთში გასაზიარებლათ და სხვა? ნუ თუ ეს არ ამტკიცებს თქვენს მისწრაფებას—მოსპოთ ამხანაგური განწყობილება მუშებში და შებოჭოთ მათი აზრის და სიტყვის თავისუფლება?!

მუხლი მესამე. რათ ართმევთ მუშებს უფლებას, რომ მოსამსახურის მიღება-დათხოვნა მუშების უფლებას შეადგენდეს? ალბათ, იმ მოსაზრებით, რომ ვინც თანახმაა შიმშილით სული ამოიძროს და ერთ ლუკმა პურისთვის გემსახუროთ, იმას მიიღებთ.

მუხლი მეშვიდე. ერთი მიბრძანეთ, ბატონო სირაჯ-მიკიტნებო, როდის არის თქვენი სეზონი? ზაფხულში, შემოდგომაზე, ზამთარში, თუ გაზაფხულზე?

მუხლი მერვე: რათ მოუსპეთ მუშებს ის უფლება, რომ როდესაც თქვენ ულუკმაპუროთ სტოვებთ და თქვენი კნეინების რჩევით მოჯამაგირეს უადგილოთ სტოვებთ, რატომ არ უნდა მისცეთ სამი თვის ჯამაგირი, რომ ვიდრე ადგილს იშოვიდეს სიმშილით სული არ ამოძვრეს?!.

**მუხლი მეცხრე:** რათ გნებავთ, რომ დუქნის მოსამსახურე მეკურტნეთაც დაგიდგეთ და თქვენი ბარგი-ბარხანა გადაზიდ-გადმოზიდოს. მოსალოდნელია, რომ მეორე კრებაზე იმასაც დაადგენენ, რომ მოსამსახურემ სახლის ბიჭობაც გასწიოს.

**მუხლი მეთოთხმეტე:** მშვენიერია, როცა გინდა დაითხოვთ მუშას და როცა გინდათ მიიღებთ, მაშინ ხომ აღარც ერთი თვისა მიეცემათ და აღარც ერთი დღისა.

**მუხლი მეცხრამეტე:** ის, რომელ კანონებში ამოიკითხეთ, რომ გაფიცვის დროს მოსამსახურეს არ მიეცეს არც ბინა და არც ჯამაგირი? თქვენ ამითი სპობთ იმ მუხლსაც კი, რომელიც თვითმპყრობელობისაგანაც კი ნება დართულია, „გაფიცვის თავისუფლება“.

დასასრულ, თქვენ თუ იმ გაზეთს, რომელიც თქვენ არ გეყმებათ და არ გემონებათ, ბოიკოტს გამოუცხადებთ, ჩვენ ჩვენის მხრით ამ გვარ გაზეთს ხმის ამოუღებლობისთვის და თქვენი წერილის მიუუჩრებლისათვის პირდაპირ ვაჭრების კუდს ვუწოდებთ და ეს გაზეთი მართლაც, რომ ბურჟუაზიისა და კაპიტალისტების იდეოლოგი და მაჩანჩალა იქნება.

რიმინი.

## თბილისის წვრილ-ვაჭართა დადგენილობა.

გუშინდელ „ზაკავკაზიეს“ № 260, მოყვანილია ოქმი იმ გადაწყვეტილებისა, როგორც დაადგინეს თფილისის წვრილ-ვაჭრებმა 6 დეკემბერს 1907 წ. ოქმზე ხელს აწერს 500 და შემდეგი შინაარსისა:

კრებამ მოისმინა მოხსენება შემარიგებელ კომისიისა, რომელსაც ევალებოდა გაერკვია წვრილ-ვაჭართა მოსამსახურეთა გაფიცვის საკითხი და მოერიგებინა ისინი ვაჭრებთან. კომისიამ მოახსენა კრებას თუ რაში არ დაეთანხმენ მათ გაფიცულთა წარმომადგენელნი, ლოგორი შესწორება შეიტანეს და რა ახალი მოთხოვნილებ ბი წარადგინეს ხაზეინებს, კომისიამ განაცხადა, რომ კრებას უფლება აქვს დაამტკიცოს, შესცვალოს და ან სრულიათ გააუქმოს მის მიერ შემუშავებული მუხლები, მიიღოს გაფიცულთა ან პირობები, ამოირჩიოს სრულიათ ახალი კომისია მეორეთ მოსალაპარაკლ ბლათ გაფიცულების წარმომდგენლებთან. ორატორობა განმარტეს და კრებამაც ერთხმათ აღიარა, რომ ნამდვილი დამნაშავეები აწინდელ გაუგებრობისა და იმ ფაქტისა, რომ ვაჭრები ვერავითარი გზით ვერ შეთანხმებიან გაფიცულ მოსამსახურეებს, არიან არა გაფიცული მოსამსახურეები, რომელთაც კარგათ ესმით დახედავენ ვიდეც,— საზოგადოთ როგორ დაეცა ვაჭრობა და დღეს ვაჭრები განიცდიან კრიზის არამედ! 1) ის „აბლაკატები“, რომელთაც შემოიღეს ახალი ბატონყმური უფლებები დაიმონავეს მუშები, შეერივნენ მათი ოფლით ცხოვრებას და მუშებს ასხედან კისერზე გაფიცულები გვეთანხმებიან ჩვენ პირობებზე, მაგრამ ეს ვაჟბატონები უშლიან მათ და შეაქვთ განხეთქილება. ჩვენ უნდა ვეცადნეთ გავანთავისუფლოთ მოსამსახურე-ბი ამ გვარ ექსპლოატატორებისაგან, 2) დამნაშავე აგრეთვე ის ჟურნალ-გაზეთებიც, რომელნიც ბეჭდავენ სხვადასხვა ინცუნციებს ვაჭრების შესახებ, ამხედრებენ მოსამსახურეებს ვაჭრების იმის უფლებას, რომ პასუხი გაცენ მათ და თავი იმართლონ. კრებამ ერთხმათ გადასწყვიტა, უკვე თუ გაზეთები, რომელნიც ბალავენ განხ თქილებას მშვიდობიან მოქალაქეთა შორის, შემდეგშიაც ასე ცალმხრივ იმოქმედებენ, ამგვარ გაზეთებს ნუ მივსცემთ განცხადებებს, ნთ გამოვიწეროთ და აღმოუჩენთ მათ რაიმე შემწეობას.

3) დამნაშავეა, აგრეთვე ის ზოგიერთი ვაჭრებიც, რომელნიც შიშის ქვეშ და ან თავის სიხარბის გამო არ უშვებენ მოსამსახურეებს იმ პირობით, რომ ისინი დაუკმაყოფილებენ ყველა იმ პირობებს, რომელიც შემდეგში იქნება მიღებული. ამაზე აშენდა ის ხმებიც, რომ ვითომ ზოგიერთმა ვაჭრებმა სრულიათ დააკმაყოფილეს გაფიცულებმ და ამ ვაჭრების გვარები გაფიცულებმა გაზეთებში გამოაცხადეს. ერთხმათ გადაწყდა გამოუცხადოს ამგვარ ვაჭრებს ზიზღი და გაფიცვა და წინადადება მიეცეს მათ არ უღალატონ მათ ვაჭრებს და მოსამსახურეები მიიღონ საზოგადო პირობით. შემდეგ კრებამ მოისმინა თვითეული მუხლი კომისიის მოხსენ ბისა და ერთხმიდ მიიღო შემდეგი:

1) ყველა სავაჭრო დაწესებულებებში; როგორც მაგალითად: ტრაქტირებში, ღვინის სარდაფებში სამიკიტნოებში და სხვა „უნდა შემოღებულ იქმნეს წმიდა სამუშაო დრო 9 საათი, ამაში არბედის სადილის, ჩაის და სხვა დროს მოსვენება.

2) მოსამსახურეებმა უნდა იმუშაონ დღესასწაულებისა და კვირა დღეებით, გარდა ახალწლისა, შობისა, ნათლის ღებისა, აღდგომისა და თამარ დედოფლის დღესასწაულის დღეს, ამ დღეებში ისინი თავისუფლდებიან მხოლოდ ერთ დაღე და ღამით. უკეთუ თითონ მოვაჭრეებმა ისურვეს ამ დღეებში მუშაობა უაოსამსახუროეებოთ, უფლება აქვთ გააღონ თავისი დუქნები.

3) დათხოვა და რიღება მოსამსახურეებისა შეადგენს ხაზეინის სრულს უფლებას, და არავინ გარეშეთაგანი არ უნდა გაერიოს ამაში.

4) მოსამსახურეები მოვალენი არიან ბეჯითათ შეასრულონ თავისი მოვალეობა. უკეთუ ხაზეინმა შეამჩნია მოსამსახურეს ქურდობა ან სიმთვრალე ხაზეინი ითხოვს მას და არავის ხაზეინთაგანს არ აქვს უფლება აიყვანოს ამ გვარი გათახსირებული მოსამსახურე.

5) უკე თუ მოსამსახურე ხაზეინის ნებადაურთველათ დაანებებს, მუშაობას თავს და წავა სადმე ორჯელ გაფრთხილების შემდეგ უნდა დათხოვნილ იქნეს ადგილიდან.

6) მოსამსახურეები ვალდებულნი არიან ზრდილობიანათ მოეპყრან ხაზეინებს მათ ცოლშვილს და მუშტარს, აგრეთვე ხაზეინებიც მოვალენი არიან ზრდილობიანათ მოეპყრენ მოსამსახურებს და ოჯახობას.

უკეთუ სავაჭრო დაწესებულების საქმე ცუდათ წავიდა, ხაზეინს ნება აქვს შეამციროს მოსამსახურეთა რიცხვი, უკეთუ ღაქვეითების მიზეზი დროებითი არ არის (სეზონი და სხვა. ეს მუხლი არ ეხება ბაღეებში მომუშავეებსო.)

უკე თუ ხაზეინი უმიზეზოთ დაითხოვს მოსამსახურეს, ის ვალდებულია გარდა ჯამაგირისა, რაც მას ეკუთვნის, მისცეს ზედმეტად კიდევ ერთი თვის ჯამაგირი.

9) მოსამსახურენი მოვალენი არიან, გარდა თავის პირდაპირი მოვალეობისა, სიტყვის შეუბრუნებლათ უნდა აასრულონ ხაზეინის დავალება მუშაობის დროს და საქირო დროს გადახიდ-გადმოხიდონ 1/2

10) უკეთუ მოსამსახურე თავისდაუდევრობით რაიმე ზარალს მოაყენებს ხაზეინს და განგებ ახდენს რასმეს უნდა აანაზღაუროს თავის ჯამაგირით.

11) ერთი წლის სამსახურის შემდეგ მოსამსახურეს ნება ეძლევა ისარგებლოს ორი კვირის თავისუფლებით (ОТПУСКЪ) ჯამაგირისა და ადგილის შენახვით. (მოსამსახურე ბი თავისუფლდებიან მხოლოდ რიგრიგათ).

12) მოსამსახურეებს ნება აქვთ ბანქოსი და ან სხვა რისამე თამაში იქ, სადაც ისი ნი მსახურებენ 13) ავათმყოფობის დროს, გარდა ვენერიულისა, მოსამსახურე სარგებლობს ხაზეინის ხარჯით ერთი თვით ჯამაგირისა და ადგილის შენახვით. უკეთუ მოსამსახურე დაშავდება ხაზეინის საქმეზე, იმ შემთხვევაში წამლობა გძელდება შემდეგაც ხაზეინის ხარჯზე 14) მოსამსახურეთა რიცხვის მომატება ან დაკლებას თვითონ ხაზეინი ე სწყვეტს და არავინ გარეშეთაგანი არ უნდა გაერიოს ამ საქმეში. 15) მოსამსახურეს ბინას აძლ ევს ხაზეინი ან ოთახი მიცემით და ან სახლის ქირის გადახდით, როგორც ერთმანეთში მორიგდებიან. 16) ჯამაგირი ეძლევა თვიურათ ყოველ თვის დამლევს. 17) საჭიროების დროს მოსამსახურეებს ეძლევათ სუფთა წინსაფრები. 18) მოსამსახურეებს ეძლევათ თვიურათ 50 კ. აბანოსი და დალაქის ფულათ. 19) გაფიცვის დრ-ს მოსამსახურეებს არ ეძლევათ ხაზეინისაგან არც ბინა და არც ჯამაგირი. 20) მოსამსახურეებს ნება არ აქვთ მიიღონ ვინმე გარეშე პირთ მუშაობის დროს და ესაუბრენ მას, როდესაც საზოგადო კრებამ დაამტკიცა ყველა ეს ზემოთ მოყვანილი მუხლები ერთხმათ დაადგინა: ეს სავალდებულო გადაწყვეტილება შეუცვლელათ გამოქვეყნდეს ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით, დაამზადონ წიგნაკები მოსამსახურეებისათვის შეიტანონ მასში ეს სავალდებულო დადგენილება და დაურიგო ყველა მოვაჭრეს მოსამსახურეების რიცხვის მიხედულობით. ეს გადაწყვეტილება სავალდებულოა ყველა მოვაჭრეებისათვის.

ყველა ის მოსამხახურეები, რომელთაც არ დაიწყეს მუშაობა მიცემულ ვადამდე, თანახმათ საზოგადო კრების წინდაწინდელი გადაწყვეტილებისა, ითვლებიან დათხოვნილებათ და მოვაჭრეებს ნება ეძლევათ მიიღონ მოსამხახურეები, როგორც ძველებიდან, ისეც ახლები თავიანთის მიხედულობით.

თვალყურის გდება ამ სავალდებულო დადგენილების უცვლელათ სისრულეში მოსაყვანათ ეთვლება ქ. თფილისის ვაჭრების პროფესიონალურ საზოგადოების ორგანიზაციებს.

# უცხოეთი.

**სპარსეთი.** გაზეთ „ბირჟევია ვედომოსტის“ თანამშრომელი გადმოგვცემს სპარსეთის საკონსულოს ერთ წევრის ნათქვამს::

— „სპარსეთში მართლაც აღელვებულია ხალხი; თუ რა შედეგი მოჰყვება ამას, ამის გამოცნობა შეიძლება მხოლოდ ორივე მხარის იმ ენერგიის და შეუდრეკელობის აწონ-დაწონით, რომლითაც ისინი იცავენ თავის რწმენას და თავის პოზიციებს.

დეპეშების ცნობით, შესაძლებელია მეჯლისი დაითხოვონ. ჩვენ ამის შესახებ ცნობა არა გვაქვს. მე შემიძლიან კატეგორიულად უარ-ვყო ეს, რადგანაც ჩვენი კონსტიტუციის კანონის ძალით ახლანდელ მომენტში ეს შეუძლებელია.

მოსალოდნელია და შესაძლებელიც არის რეაქციონურ სამინისტროს დანიშვნა, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არ ექნება, რადგანაც ასეთი სამინისტრო, მეჯლისის მხრივ პირველ უნდობლობის გამოცხადებისთანავე დაეცემა.

შესაძლებელია სპარსეთში დიდი ამბები დატრიალდეს, ესა თუ ის კაბინეტი გაუქმდეს, მაგრამ კანონიერება იქ მაინც არ იქნება დარღვეული“.

სულ სხვა აზრისაა ოსმალეთის საკონსულოს წევრი; მისი აზრით, სპარსეთი განიცდის მწვავე რევოლუციას, რომელიც უფრო და უფრო ძლიერდება და იმის გამოცნობა, თუ როგორ დაბოლავდება საქმე, ძლიერ ძნელია.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს კი რუსეთის წარმომადგენელმა ბ. გირსმა ასეთი ცნობები გაუგზავნა. სპარსეთში მართლაც სრული ანარქიაა გამეფებული და წინდაწინ გაგება იმისი, თუ ერთ საათის შემდეგ რა მოხდება, შეუძლებელია. შესაძლებელია, რომ სპარსეთის სახელმწიფოებრივი ძველი შენობა ირღვეოდეს, მაგრამ ამას რუსეთისათვის დიდი ვნების მოტანა არ შეუძლიან, ჩვენ ყველანაირი ზომები გვაქვს მიღებული ჩვენი ინტერესების დასაცავად და ამისათვის სრულებითაც არ არის საჭირო, რომ რუსეთი სპარსეთის შინაურულ საქმეში ჩაერიოს. რაც უნდა მოხდეს სპარსეთში რუსეთი მაინც არაფერს დაკარგავს.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ გაზეთ „ცის ნამში“ ადგილი დაუთმოთ შემდეგ ჩემს წერილს: ამ წლის გაზაფხულზე მე დამატუსაღეს. ოჯახობით ყველა წევრები: ცოლი, მამა, დედა, ძმა. ამის გამო ლეჩხუმში წასვლა შემხვდა და ადგილზე, რომელზედაც მე ვმუშაობდი, ამხანაგების თხოვნით, დავტოვე ჩემს მაგიერ ნიკო ლუხუტაშვილი, რომელმაც პირობა მომცა, თუ ჩამოსვლა მომიხდებოდა. ადგილს ადგილს ისევ დამიცლიდა რვა თვის არეულ-დარეულ ცხოვრების შემდეგ ეხლა მე მოვითხოვე ჩემი ადგილი, მაგრამ ლუხუტაშვილმა თავის მხრიდაც უარი სთქვა გამოსვლაზე, და ხაზენთანაც ბეზღობა დაიწყო. ასეთი საქციელი იმ კაცისაგან, რომელსაც მე კარგათ მოვექეცი და ადგილი დაუტოვე მაშინ, როდესაც მას ცოლშვილი შიმშილით უწუხდა, მეტად სათაკილოთ და მუშასათვის შეუძლებელია. განა მე არ შემიძლო ლუხუტაშვილის ოჯახური მდგომარეობისათვის გვერდი ამექცია და მის მაგიერ უფრო საიმედო კაცი დამეტოვებინა ადგილზე! ვსთხოვ პროფესიონალურ კავშირის გამგეებს ამ საქმეს ყურადღება მიაქციოს.

მელიტონ პინპარაძე.

რედაქტორ-გამომცემელი

**გიორგი სხირტლაძე.**


ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ი ს ა რ ი“

გაზეთი „ისარი“ ერთის წლით ღირს თფილისში 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთის თვით თფილისში—75 კაპ. თფილისს გარეთ—85 კ. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ სალამოს ხუთ საათამდე ღირს 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „ისრის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან—40 კაპ.

**ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.**

რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 1.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ“.


სტამბა „სორაპანი“ მადათოვის კუნძული № 1.